

ଶେରଗଣ ସାମନୋହା



ირთი ბანოა ცხოვრიბა

წინამდებარე ლექსების კრებული ავტორის პირველი მცდელობაა პო-
ეზიაში; ლექსები სხვადასხვა დროსაა შექმნილი და გამოირჩევა ადამიან-
ური ურთიერთობების მძაფრი განცდით, ისტორიული წარსულის, ამქვეყნი-
ური ჭირ-ვარამის მტკიცნეული გააზრებით.

„ერთი ბეჭთა ცხიოგრება, სულ რამდენიმე წამისა,“ – ამბობს ერთგ-
ან ავტორი, რითაც ბეგრი რამის თქმას ლამობს წუთისოფელზე, ადამი-
ანზე; ადამიანზე, რომელიც დღემუდებმ კადეც უნდა მუშაკობდეს და კიდევ
უნდა ლოცულობდეს; ცდილობდეს ცოდგათაგან განწმენდას, რადგანაც,
უდაფოა, სიკეთილის ცელი არ დაახანებს და ყველაფერი, რასაც ამქვეყნ-
იური კეთილდღეობა პქვია, აზრს დაგარგაგს. მისი მოწოდებაა – „ვიდრე
ცოცხალ განით, სიკეთის ხე უნდა გაპარით“, რისილის ნაყოფი ჩენი მო-
მავლის – შვილების საკვებია, რომელთაც, უთუთდ, მამაზე შეტად უნდა
უყვარდეთ სატიმამული; ერთადერთ სხნას კი, კაცობრიობისას, უფლ-
ისადმი მონჩილებაში ხედავს; მას ასევე, კარგად ესმის, რომ „შეუცნიბ-
ადი არის თუმცა ესე სოფელი,“ შაგრამ მაინც ცდილობს მის არსში ჩა-
წვდომას და როს აღმოაჩნის ამა სოფელში მედროვეო, ყალბისმქმნელი,
საგარმლის მაძიებელი, მლიქენელებსა და ნიღბოსნებს, დაუნდობელ
ბრძოლას უცხადებს დადი მგოსნის რწმენის დარად – „ცუდად ხომ მა-
ინც არ ჩაიგლის ეს განწირული სულისკვეთება“...

...და იბრძვის პოეტი...

მე რომ ვიცოდე ჩემი სიკედილით ხალხს ეშველება
დღესვე სამარეს უყოფმანოდ მივებარები...


ს. ს.

წეთისოფელი

ჩვენს საბრძანებელს მიტომ პქვია წეთისოფელი,
რომ კაცთა ყოფნა საწუთოოში წეთში მთავრდება,
ვერც კი მოასწრებ დატყვევებას ნათელის ხილვით
მშფოთარე სულში უცაბედად შემოღამდება.

წვიმის წვეთივით ჩნდება ქვეყნად ადამიანი,
უკან მოხევგას ვერც კი ასწრებს, ისე ბერდება,
ქვეყანა ჩვენი – მოსაცდელი არის სადგური,
სადაც სიცოცხლე, ეგზომ ტკბილი, ზოგჯერ გვბეტრდება.

მადლი მეუფეს იმისათვის, რომ გაგვაჩინა,
მაგრამ გალობა ცხოვრებას არ შეეფერება,
მთელი სიცოცხლე – ერთი გრძელი დაკვნესებაა,
მდარე ლექსივით თარბე უცებ გადამღერება.
წეთისოფელი თუკი მხოლოდ მოსაცდელია,
თუ ნებავს უფალს, მოხდეს რაიც მოსახდენია.



❖ ❖ ❖

ჯემიკო მელიქიშვილს

ქვას მისდგომია მოქანდაკე ხელში საჭრეთლით,
აამეტყველებს და ასრულებს ნებას დამკვეთის,
ოქროს ხელები ოქროსივე სიგყვებით მჭევრით
აწ გარდასულთა უკვდავსაყოფს გვიხსნის გაკვეთილს.
ქვაზე გადააქვს გარდაცვლილის ცხოვრების შტრიხი,
მისი პროფილი – ვინც ცოცხალი იყო არსება,
ოფლად გადაღვრილ მოქანდაკეს არ ავიწყდება
შესანდობრისთვის დვინით თითო ჭიქის ავსებაც.
მუდამ გულდიას კარგაცობის აქეს შუბლზე დამღა,
მაღლის ქმნით, ლოდის კვეთაშიც კი ვერა გრძნობს

დაღლას,

ძერწავს, უჭედავს უკვდავებას ასიათასებს,
ქმნის ხელოვნების ნიმუშებს, თუმც თვით არ აფასებს.

წუთისოფელში ვინც ნამუსის ქუდი აფარა,
ბევრის გამცემმა – თვით იკმარა ძალზე პაფარა.





ქათ გამოცდის

მიახლოვდება გრგვინვით, ზავთით
 წელი სამოცი,
 მიჯნა,
 სიცოცხლის და კაცობის ნაღდი გამოცდის,
 მიახლოვდება,
 თითქოს შემართებაგამოცვლილს
 ბევრჯერ ნამეხარს, მაგრამ კერპეტს,
 დროში გამოცდილს.
 შეეჭიდება ძნელ ცხოვრებას
 წელი სამოციც,
 მაგრამ ვძლევ,
 ვიცი – ბევრ განსაცდელს კვლავაც გავცდები,
 დროს უქმურს,
 ღმერთმა შემაბრძოლა უმანკო შუბლით.
 სპეცაკ აზრებით,
 სიკეთის ქმნით, მძიმე განცდებით.
 თუმცა ცხოვრებამ
 ბევრი მძიმე ტვირთი მარგუნა,
 მწამს,
 სამოთხისკენ ბილიკს ვპოვებ უფლის დალოცვილს,
 ყეფონ ძალლებმა –
 ქარავანმა გზა გააგრძელოს,
 რადგან
 იმედით მეგებება წელი სამოცი.
 თქვენთან ვარ ყველა ჭირ-ვარამით,
 ყველა გამოცდით.
 უპატიოსნოდ არ ჩავაგებ ხანჯალს ამოწვდილს.





♦ ♦ ♦

უველა ულმობელ სიკვდილის ცელს ვემორჩილებით,
ილუბით და მირაჟებით გარბიან წლები,
არ არის მონა უურმოჭრილი მავანთა ნების,
ვისაც არასდოოს არ ერევა ცხოვრების გბები.
უუჭი აზრებით იკვებება ადამის მოდგმა,
და იძირება ეგოიზმის ოკეანეში,
ეშმა, რომელიც უნდა თრთოდეს ცახცახისაგან
დამკვიდრებულა ცისქვეშეთში, თბილ სავანეში.
წუთისოფელი გვეჩვენება თაიგულებად,
თუმც საბოლოოდ ხელთ შეგვრჩება ეკლების ჯაგი,
შეუცნობელი არის იგი – ქვეყნად რაც არი,
უმწეოდ ყოფნა, შემოყრილი თვალში ნაცარი.
მიმზიდველია ადამის ძე თავის ქებამდე,
ვითარც სიცოცხლე – სილამაზის გახუნებამდე.

სურპილად გვრჩება

სურვილად გვრჩება,
რომ არ გვყავდეს მაგინებელი,
ანდა ბოროტი დავამარცხოთ თუნდაც ზმანება,
ვინც გიმეგობრა, გამოსცადე
და ეს ღრმად გწამდეს,
ეშმა იესოს არასოდეს დაემგვანება.
ღროთა სრბოლაში თუკი მცირედ წაიფორხილე
დაკარგავ იმას,
რისიც გუშინ იყავ მფლობელი,





თუკი გაქებდნენ,
 აგიგდებენ დღეს სასაცილოდ
 თუგინდ ვაბირი,
 თუნდაც ქვეყნის იყავ მპყრობელი.
 ქვაბე ფეხწაკრულს უმალ უნდა წამოყენება,
 თორემ წაქცეულს
 გულბე ბდარბიც გადაახტება,
 მრავალჯერ თქმულა ამის მსგავსი,
 თუმც არვინ ფიქრობს
 უმაღურობით
 კაცის გულს რა დამღა აჩნდება.
 როცა ფეხებზე იყიდებენ პატიოსნებას,
 რაღა ფასი აქვს მიზანს, იმედს,
 ნატვრას, ოცნებას.

ერთი ბენრა ცხოვრება

ბევრის მიზანი ფუჭია,
 წყალივით დაიღვარება,
 არ უნდა მოჰყვეს თუმც ამას
 კაცთ რწმენის გადაგვარება,
 რა ვუყოთ
 თუკი ნანაგრი ათასში ერთხელ მართლდება,
 კაცს ცუდ სამსახურს გაუწევს
 ყველა ოცნების ახდენაც.
 ერთი ბეწოა ცხოვრება,
 სულ რამდენიმე წამისა,
 ქუხილი — მაისის თვისა,





ნავარდი – ნიავქარისა;
 მთაში მოწყვეტა ფიფქისა,
 ხევში ჩაწოლა ზვავისა;
 შვილის საფლავთან
 მწუხარედ გადაკივლება ქალისა;
 საომრად წვევისნაირი
 ქრიალი ბუკ-ნაღარისა;
 სასაკლაოსთან მისული
 შებლავლებაა ხარისა;
 გეაწეული თვალებით
 დაღმა დაქნევა თავისა;
 სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე
 დაფახულება თვალისა;
 ორი რამეა ამქვეყნად
 რაბეც არ ქმნიან სიმღერებს –
 გაწბილებული ბავშვობა,
 დამადლებული სიბერე.

ღრმ წახდა....

დრო წახდა,
 ხალხმა იცგალა ზნე, ხასიათი, იერი,
 გაგვიდაფაკდა ქვეყანა,
 გოგიც ლასლასებს მშიერი,
 დღიური ლუკმის საშოვრად
 ხელს იწვდის ნორჩიც, ხნიერიც.
 ჯგლეთაა ირგვლივ,
 ჯგლეთაში იმარჯვებს მხოლოდ ძლიერი.



ცხოვრება ვისთვის მონსტრია,
აულესია ეშვები,
მთასაც გვაგონებს მიუვალს,
გსურს მისწვდე, ძირში ეშვები,
ჭირთა თმენაა,
მიტომაც ბოლომდე უნდა ეწამო,
ავი და კარგი, ცივ-ცხელი,
ტყეუილ-მართალი იწამო.
დავრდომილსა და უმწეოს,
სითბო, ო, რარიგ სჭირდება,
შენ დაუბრუნე, უფალო,
ჩემს მამულს ძველი დიდება!

არავინ მეტს...

სიცოცხლე ბრძოლაა, ცხოვრება ომია,
კარგს არას გვპირდება მერმისი აშარი,
ბევრის არსებაში დაობლდა სიწმინდე,
დაიწვა სინდისი, შემორჩა ნაცარი.

იმდენად იცვალა ცხოვრებამ იერი,
რომ უმსგავსობებს ვერ ვაჩვევთ თვალს,
შიმშილი, სიძირე და უსასოობა
არავინ არ იცის რა გველის ხვალ.

ცხოვრება ამნაირი რარიგ მსურს, უფალო,
რომ წვიმის წვეთივით განქარდეს უკვალოდ.





აკოპალიფსი...

ბოლო აღარ აქვს ფიცი-მტკიცებებს,
და შესრულებას დანაპირების,
(ქვის ხანისაკენ გბრუნდებით უკან
ნაძირალებით და ვამპირებით).

დატაკი ხალხის აღარ განკითხვით –
(თუნდ ქვას უკბინე, მხოლოდ წყალი სვი)
არაკ-ზდაპრებით, ათას „იზმებით“
მოგვიახლოეს აპოკალიფსი.

ბანგს და ოპიუმს გაუდგამს ფესვი,
ბოგს ყავის სჯერა, ბოგსაც – სიბმრების.
ღმერთო, იხსენი შენი სამწყემსო.
ნუ, ნუ წალეკავ კატაკლიზმებით!

სხვადასხვა ბბა

ბევრი გბა არის ამქვეყნად,
ბევრიც თავიდან იგება,
ვის – ტროტუარი,
მანქანებს ავტოსტრადები სჭირდება,
გჩებია წყალვეშ, მიწაში,
ჰაერში, კლდებე ხიდებად,
ყველა გბა სადღაც მიგვიყვანს,
ნამდვილ გბას უნდა მიგნება.
ბოგი გბა ნადირისაა,



გოგი – ხალხისთვის სავალი,
მისი მანძილი ულევი,
არასდროს დაიშრიტება,
ერთი გზა არის ნამდვილი,
საწყისითა და ბოლოთი,
არ იფარგლება სოროთი
და ჰქვია ჭეშმარიტება.
სიბრძნე ანათებს ყველა გზას
მირონი – საბოლოოსა,
გზის დასაწყისი ვინც ჰპოვა,
იოლად გავა ბოლოსა.

♦ ♦ ♦

საწუთო წკიპჩე ჰქიდია,
ურწმუნ-უბნეოთ ბოდვითა,
მიწისძვრებით და გრიგალით,
სისხლისდვრითა და ცოდვითა,
სამი რამ ანგრევს ქვეყანას,
უსაშინლესი ძალითა:
ურწმუნოება, მრუშობა
და საქმეთა ქმნა ავისა.





სპამი ყველას მომონაბა...

პოლიტიკა არასოდეს ჰგვანებია ლალს,
მარად ითხოვს მამულისთვის გადასახდელ ვალს,
ბოგჯერ ბრძენს და ერისკაცსაც გაუმრუდებს კვალს,
წყალთან მისულს
არცთუ ხშირად ალევინებს წყალს.

არც ისეთი უმანკოა, ვაი, იმის ბრალს
ვისაც სწრაფვა განდიდების
აკარგვინებს თავს,
პოლიტიკით მოთამაშეს მტერიც ბევრი ჰყავს,
ბოგჯერ დინჯს და სიცყვაძუნწაც
ათქმევინებს ავს.

შეიცვლება დრო და ქამი – შეიცვლიან გზას,
სავარძლისთვის აიძრობენ ბურგბე ცხრაპირ ტყავს,
სკამი ყველას მოერგება,
თუ პატრონი ჰყავს,
არვინ ფიქრობს მჩქეფარ ბვირთბე,
ვით წაიყვანს ნაგს.

ამის ხილვით გული ჩემი შეუპყრია ჯავრს,
ქვეყნად ვერვინ გადურჩება სამართლიან მსჯავრს.





დაღის მამსტრო...

არის ბრძოლა და შეხლაშემოხლა,
ბევრი ბლოკების და პარტიების,
ამბიციები, ერთურთბრალდება,
დაკანონება არპატიების,
რეფრონსპექტივა და პერსპექტივა,
კონსტრუქცია და დესტრუქციები,
აპსტრაქტიული გამოვლინებით
ანგიპათია, სიმპათიები.

დადის „მაესტრო“ – ვით დირიჟორი,
უჩინარ ჯოხით მართავს ტირადებს,
კაცომოძულებით გადაამეტა,
თემურ წყობას და ველურ ტირანებს,
განყენებული ფუჭი აზრებით
და მოგონილი გულახდილობით,
იპყრობს მავანთა სულებს ორგული,
მოჩვენებითი, ყალბი ბრდილობით.

ყურებს გვიყრუებს ილუზიებით
და იწვევს ხალხში ღრმა აპათიებს,
(ბავშვს მოაგყუო ისიც არ ვარგა,
ერთ შეცდომას არ გაპატიებს).
ერს უნდა მოვლა, სულის მშვიდობა,
ოინბაზობა მოსწყინდა ყველას,
შეძრწუნებული, გაცურებული,
სამშობლო ჩვენი მოელის შველას.





წამლავს მასებს და წამლავს ქვეყანას,
რაც წაიღება – მიაქვს და ყიდის,
რა გვეშველება –
მამულის თავზე ცოდვა ტრიალებს უსამვლოდ დიდი.

მტრის მეგობრობა სად თქმულა...

ჩის მერიქიფე ბოლოში, როგორც მაგიდის წესია,
მოქეიფეთა სულისდგმა, დიდ აბარფეშით ხელშია,
სადღეგრძელო ცლის სასმისებს, სიტყვებს სიგრძე
არ ელევა,
გადასწვდებიან მეხიკოს, ლონდონს, პარიზს თუ ჰენევას.

და ხმას აწვდიან მსოფლიოს, ნაზი, სალბუნი ენითა,
ეფერებიან სამყაროს, ჩვენეულ ქართულ გენითა,
როცა ალერსი ამდენი ყანწებშიც ვეღარ ეტევა,
კეთილის დასამკვიდრებლად იწყება ბნელბე შეტევა.

ქებაა მეგობრობისა, მშობელი საქართველოსი,
დედისა – ვაკეაცქალისა, იმ მთის, ამ ბარის, მდელოსი,
ქართლ-კახეთ-იმერეთისა, აჭარის, სამეგრელოსი,
და სიყვარულით ნამდერი, „იავნანის“ და „რეროსი“.

მგრის მეგობრობა სად თქმულა, ვინც ღვინით იქცნენ
„ამქრებად“.
როგორც დავრწმუნდი, ეს „ძმობა“ წვეთ ღვინოსავით
გაქრება.



ღმერთო, გამხალე გიარი

ღრო ნაქამარი ისე რბის,
 ფეხის აყოლა ძნელია,
 მიტომაც მიდი ღროულად,
 თუ სადმე გულით გელიან,
 ღრო მოსპობს ქვეყნად სიცოცხლეს,
 მსაჯული შეუცვლელია,
 ვაი, მას,
 ვისაც შეეხო მისი მსახვრალი ხელია.
 მიდის ღრო,
 მიაქვს სიცოცხლე, ღრო არასოდეს ქანგდება,
 უფლის შვილთ ძვირად უჯდებათ,
 ღროის აბუჩად აგდება.
 ღრო გვარუევს ქარტეხილებით
 არა აქვს დასასრულია,
 ღროს ვერასოდეს ვერ მოვკლავთ,
 ღრო უჩინარი სულია.
 ვერასღროს კურნავს ღრო-ჟამი,
 კაცი, როდესაც კნინდება,
 სავალი წუთისოფელში
 მისთვის ყოველთვის მცირდება,
 ღროს ვინც არად თვლის, ქედმაღლობს,
 სიბიფეს ლოდად მმიმდება,
 ღროს ვინაც შეეჭიდება,
 მუდამ შერცხვენით წბილდება.
 ღრომ გაგვიმრუდა ცხოვრება
 მას ყველა ვემორჩილებით
 გვთანხავს, გვაწამებს,



მიგომაც ვებდაუჭებით კბილებით,
 დრო არ მოგვყვება,
 ჩვენ უნდა მივყვეთ მოგომილ დინებით
 დრო წამებს გვითვლის, არ გვტოგავს,
 მასთან ახლოს ვართ მიზნებით.
 დროს რომ აჯობოს, ისეთი
 ჯერ არ შექმნილა მანქანა,
 დროს ისევ მისი დრო მოკლავს,
 ცუდ დროს სჭირდება გატანა,
 დრო გვიცამტვერებს იმედებს,
 რადგანაც ულმობელია,
 უძლურებს ყოველთვის გვჯობნის,
 დრო მუდამ უძლეველია.
 დროს რომ ვაჯობოთ
 უცილოდ ოთხი სიმდიდრე გვჭირდება:
 სინდის-ნამუსი,
 სიბრძნე და ღვთის საკადრი დიდება,
 თანატოლებში მხიბლავდა მოზიდვა
 ისარ-მშვიდისა,
 ღმერთო,
 გამხადე ბიარი მე დრო-ჟამისა მშვიდისა.



❖ ❖ ❖

გააბოროგა ზოგიერთი სკამის ძიებამ,
ბატონკაცურად წამოყინჩვამ და განდიდებამ;
სავარძლისათვის ვინდა კმარობს დედის გინებას
ქიშპობენ ერთურთს, მიჰყვებიან დროს ავ დინებას.

კაცი უგნური მიუწვდომელს ეპოტინება,
(უფალთან იაკობს გაუმართავს კვლავ შერკინება,
ეშმაკთან წილხვედრს შეეცვლება განა გუნება?
არამამა ლუკმამ ცოდვიანი იცის ცდუნება.
ცრუ განდიდებამ დაგვანახა მავანთ ბუნება,
(აღარ სჭირდება ურემს უკვე გადაბრუნება).

❖ ❖ ❖

წარსულის ცეცხლზე მიფიცხებულს ამდინდა ბოლი,
ხელში შემომრჩა დიად მიზნების უსახო როლი,
ცხოვრებამ ისე მოგვიქნია ბასრი მახვილი,
მსურს არ ვიწამო რომ ეს ყოფა არის ნამდვილი.

წმინდა სამრეკლოს აბანბარებს განგაშის გარი,
ქართველებს გულში შეგვეპარა მტანჯველი ბბარი,
წარსულის ცეცხლით ვირუჯები – თუმცადა მცივა,
ვგრძნობ, უსაშველო ნოსტალგია რარიგად მტკივა.

ვგონებ განგებამ აგვიკრძალა ფეხის გადადგმა,
და ასახსნელად დაგვიგოვა წლების ქარაგმა.





306ა უფალს სცნობს

სალოცავი აქვს ყველა ერს,
ღმერთს ბევრი ემსახურება,
უნდა ირწმუნო უფალი,
უკუაგდო სხვა ცდუნება,
ვინც ფრესკებს, ხატებს აღმერთებს,
ვინც მუხლს მოიყრის მექაში,
ამბობენ,
ედემს ეწვევა და დაივანებს ზეცაში.
ვის სინაგოგა ამაღლებს, ვის – ჯამე,
ვის – ეკლესია,
ვინც მორწმუნება,
ლოცულობს, როგორც რიგი და წესია,
ვინაც უფალს სცნობს, თაყვანს სცემს,
არაფერს ავნებს მესია,
იმქვეყნად ის მაღლი მისდევს,
რაც აქეთ დაუთესია.
მაგრამ, ვაი, რომ მომრავლდნენ,
ქვეყნად ურწმუნო თომები,
სულ არ აწუხებთ
სინდისი, ძარცვა-გლეჯა და ომები,
იმდენი ცოდვით დამძიმდნენ,
აიკინძება ტომები,
სულაც ფეხებზე პკიდიათ
მორალ-ზნეობის ნორმები.
ვინაც სულ ცოდვა აკეთა, უშველის მონანიება?
კაცს სამშვიდობოს გაიყვანს მხოლოდ უფლის გზის ძიება.



სიათოს ხე

არაფერია სამყაროში მარადიული,
გარდა უფლისა, (ო, იდიდოს მისი სახელი),
წუთისოფელი უსასრულო ბეწვის ხიდია
და მიწიერი მორწმუნეთა გამოსაცდელი.

განგებას ჰმონებს არსებული მოძრავ-უძრავი,
გალაქტიკები, ვარსკვლავები ცათა მყოფელი,
შეუცნობადი არის თუმცა ესე სოფელი,
სად კაცთა მოდგმას არ ელევა გასაყოფელი.

სანამ ერთიან არ დანთქმულა მთელი სამყარო,
ვიდრე ცოცხალ ვართ, სიკეთის ხე უნდა ვახაროთ.

გოგი...

გოგი ისე გადაგვარდა,
ევლარ არჩევს თეთრს და შავსა,
დადის ყინჩად და ყოველთვის,
უფროხილდება თავის ტყავსა,
გოგი წყალწალებულია,
ეჭიდება მაინც ხავსა,
გოგი მომდერლობას ლამობს,
თუმც ვერაფრით სჯობნის ყვავსა.

ოჯახზე გულაყრილ კაცსა,
უწუნებენ ნასაქმარსა,





(წაბლი ბუდეს რომ დაგოვებს,
უკადრისობს ნასახლარსა),
ავი საქმე მოგვაგონებს,
ცით მოვარდნილ ცუდსა დარსა,
(ცოლი როცა იუფროსებს,
დედლად აქცევს თავის ქმარსა).

სხვის ჭირს ვინაც მიუდგება,
როგორც უცხო სანახავსა,
მას ბუნება არ შეატევს,
მომვლელსა და დამმარხავსა,
ცუდის მდომი ავი კაცი,
გადაკიდებს მთას და ბარსა,
ვინც თავდაჯერებულია,
„აღმა ადენს“ მღვრიე მტკვარსა.

ზოგი ბოლმას სხვაბე ანთხევს,
დაიცლება, ვითარც სტგირი,
ვირი ჯორბე დიდ ტვირთს ათრევს,
მაგრამ მაინც არის ვირი.

❖ ❖ ❖

ზოგის სიცოცხლე სანთელივით იწვის, ინთება,
ზოგიერთისა – უსახელოდ, ჩუმად ინთქმება,
ზოგი უღირსი კვარცხლბეკზე დგას, ურცხვად დაგვცერის,
(წყალგამჯდარ ქვიშას ვეღარ გაცრი უკვე საცერით).





ვისაც სხვებისთვის შეუძლია მახის დაგება,
არ მომბებრდება არაკაცთა მსგავსთა ძაგება,
ცრუ იდეებით განდიდებულს არ აქვს ცხონება,
ადრე თუ გვიან უფლის ნებით აიწონება.

სჯობს ერთხელ გითხრან – არაკაცი, უღირსი ხარო,
ვიდრე სინდისი არსებაში დაასამარო.

ღღეს პლანეტაზე...

დღეს პლანეტაზე მეფობს ხარბი ფულომანია,
სად სტერლინგია, სად – დოლარი, მარკა, დინარი,
მწვანე ვალუტამ გადალახა ბევრი საზღვარი,
ისე, ვით ჯებირს გადალახავს ანცი მდინარე.

როცა შხეილით გადმოლექავს ქვიშის ნაპირებს,
ბლვარს რა მიუჩენს იმის სწრაფვას, მნგრეველს, ვნებიანს,
მდინარის მსგავსად კალაპოტის ცვლას ვინც აპირებს,
მას ტაშისცემით და პატიჟით არსად ხვდებიან.

ვიდრე ამქვეყნად აგრერიგად მეფობს დოლარი,
ვეღარ მოიშლის იგი ჩვევას ძუნწი მოლარის.





ბაბქანელია

სისხლი და ნგრევა, კვლა და გოლგოთა,
გოდება, ვაი, ტირილი, გლოვა,
კიროსის მსგავსად სწყურიათ სისხლი,
და ისევ ზეობს უგნურთა ხროვა.

ისევ წამება, კვლავ სისახტიკე,
და ბრძოს ველურის ბაკქანალია,
დღესაც რომ მამულს გვეცილებიან,
ამპარტავანი ხიბნის ბრალია.

არც შემერების და არც ხეთების,
არც ფარაონთა სასტიკი დროა,
თუმც მერამდენედ დაგვიდგა თვალწინ
იავარქმნილი „რომი და ტროა“.

უფალო, გვეღრი

ხელებაპყრობით, მუხლმოდრეკით გვედრი, უფალო,
თვით უმადურსაც უწყალობე მადლის მისხალი,
სიკეთით სავსე აგვიხდინე ყველა სიბმარი,
ბრმასაც მოასწარ ხილვა მშვენიერი ცისკარის.

ჩვეულ წყალობით გადმოხედე სნეულს, დავრდომილს,
ყველა სულდგმული აარიდე მძიმე განაჩენს,
გულით ალოცე, მოაქციე ყველა ურწმუნო,
სხვა სათხოვარსაც შემოგბედავ მონა დანარჩენს.



უფალო, შეგთხოვ მოუარო ყველა მიწიერს,
მე კი სანაცვლოდ არ მოვითხოვ, ვფიცავ, შენდობას;
შეყვარებულებს ბილიკები აუყვავილე,
დედობის მსურველთ – მიანიჭე ყველას დედობა.


მე არც სამოსელს გევეღრები, არცა – სიმდიდრეს,
ოდონდ მამულის მომასწარი ისევ სიდიდეს.

❖ ❖ ❖

წარსულ დიდების აღარ გვრჩება
თუნდაც ნაწილი,
წინაპართ სიბრძნეს ჩამოვშორდით
დიდი მანძილით,
ვინ იცის –
იქნებ კიდევ იშვას
შოთა, თამარი,
შევარდნებივით გულტვიადი,
მკვირცხლი, ფრთამალი.

ნუთუ ქართველებს გვეღირსება შეკვრა კამარის,
აღმაშენებელ იქნებოდა ჩვენთვის წამალი.





ნაგალიას

გესაუფლოსკენ აღუმართავს ხელები ციცქნა,
თვით ანგელოსად მოვლენილსა დედამიწაბე,
ხელაპყორბილი, სიფაქიზის, უმანკოების,
რწმენა-სიწმინდის სახებაა ყველა წირვაბე.

ოდონდ მის სახეს ამშვენებდეს ღიმილი წმინდა,
ამ ხატს მამჩირე, მამაღმერთო, სხვა არა მინდა!

0ლოცეთ...

აფომის დროში შეაღწია კაცობრიობამ,
თუმცა საკვებებები ფიქრმა ბოგი
ლამის აღვავა,
გვიანდა არის,
აღარცა ღირს ფიქრი წარსულზე,
აწმყო წარსულში აღარასდოოს აღარ გადავა.

გვასულდგმულებდეს დღე-ყოველჟამ
მერმისბე ფიქრი,
რადგან „ნისიის“ აღარავის
აღარა სჯერა,
ლოცვა და საქმე, საქმე-ლოცვა,
აი, რა გვიხსნის,
ხალხო,
ილოცეთ,
ვიდრე გვიან არ არის ჯერაც.



გენდლობ, უფალო

გმადლობ, უფალო,
 არ ახდა
 სიტყვები ნოსტრადამუსის,
 სიცოცხლე მიტომ გვამწარებს,
 დავკარგეთ სინდის-ნამუსი,
 ცოდვილ მოკვდავებს ბოლოჟამს,
 ხელში შეგვრჩება ნამუსრი,
 ჩვენივე ცოდვით მოკირწყლულ
 ჯოჯოხეთის გზის მაუწყი.

კაცი როს გადარიბდება,
 დაიწყებს ღმერთის ყვედრებას,
 გასაწყლებული, უსახსრო,
 უმალ ცოცხალ-მკვდარს ედრება,
 ღიდეკაცობ, ცოცხლობ, არ გიჭირს,
 ღმერთს მაშინ უნდა ვედრება,
 ილოცე მუხლჩაჩოქილი,
 როგორც კი მიგეხვედრება.

თუ გადაარჩენს ქვეყანას
 ლოცვა და მონანიება,
 მხოლოდ კაცური საქმენი,
 მხოლოდ უფლის გზის ძიება.



არა მცდლიბ...

რწმენის გარეშე ვერასოდეს ვერ გახვალ გაღმა,
ვიცნობ ამ მცნებას
და ყრმობიდან ასე მივყვები,
გთხოვ დამიბრუნო ბედის ჩარხი,
უფალო, წაღმა
ისმინო ლოცვით
და ვედრებით სავსე სიტყვები.

გამორჩენისთვის ვინაც გაჩნდა წეთისოფელში,
იმისმა სწრაფვამ
ჩაილურის წყალი დალია,
მინდა ვიცოცხლო სიკეთისთვის
რადგანაც გავჩნდი
ღმერთო, მაცოცხლე,
სიკვდილისთვის არა მცალია.

საგალობელის ბოლომდე თქმის
მმართებს ვალია,
ღმერთო, მაცოცხლე,
სიკვდილისთვის არა მცალია!





ჰანგად დაღვრილო

პოეტ ნათელა დუმბაძეს

შენ პოეზიით სულდგმულობ,
მის ჯადოთი ხარ ტყვექმნილი,
სიმღერის ჰანგად დაღვრილო,
ამღერებულო ლექსივით.
მეფე სიქველით დღეგრძელობს,
საფანა – ვერგაფანითა,
შენ კარგ ქალობით დარჩები
და ლექსის ანაბანითა,
ჩვენი მთა-ბარი რომ გიყვარს
ხალხით, სიგრძით და განითა
ხარობ „მაყრულით“ , „ურმულით“
და ქართულ „იავნანითა“
„ღმერთიბა გიკურთხოს კალამი“
კვლავაც
უსაზღვრო ხანითა.

ქართველ ქალებს

გიყვართ ხატებთან მუხლმოყრა
ლოცვა, უფალტე ვედრება,
განგებას უხდით მადლობას,
რომ გაგაჩინათ დედებად,
ანთხართ წმინდა სანთლებად;
არ გიყვართ ბედის ყვედრება,





საქმე, რაც არსობს ამქვეყნად,
თქვენს ამაგს ვერ შეეძრება.

მნელია შვილის გაჩენა
აღზრდა და... უიმედობა,
უფრო ძნელი კი ის არის,
ქალს არ ეღირსოს დედობა,
დედა ამქვეყნად
შვილების მარადეკამს გულისთქმა არის,
გაჭირვებაში მხარსმდგომი,
დაუპყრობელი მთა არის.

აქ დავიბადე

რაც ქვეყნად გავჩნდი,
ჩემს თავს მივეც პირობა წრფელი,
არამ ლუკმისკენ არასოდეს წამიცდეს ხელი,
ალალი შრომის
მონაგარის ვიყო მფლობელი,
ყველგან და მუდამ
განუხრელად მახლდეს სოფელი.

აქ დავიბადე,
განვუხვენი ბჭენი სამყაროს,
აქ იშვა მუგა ჩემი ლექსის,
ჩემი ნოველის,
აქ ვეგიარე მე მამულის სიტკბო-სიყვარულს,
ღმერთო,
მიხარე, მიდღეგრძელე ჩემი სოფელი.





არც წალკოტი მსურს, დმერთო,
არცა – სრა-სამყოფელი,
ოდონდაც
ჩემებრ შვილს უყვარდეს ჩვენი სოფელი.


მეხის ტოტებში...

მუხის ტოტებში შემაღულა
მთვარე ნამგალა
ალბათ ისვენებს –
უსასრულო გზამ თუ დაღალა,
ცასა და მთვარეს
და აკვანთან დედის ნანინას,
ნუ დამანაგრებ, ბეციურო,
მეტი არ მინდა.

ეს რა ლანდებმა გაირბინეს
ღამის ფარდებთან,
ანგელოზები დაფრინავენ იქნებ ფანჯრებთან?
მთვარე ჩამოდის მუხის ხიდან
დაშლილ ფერებად
ბურგს უკან დედა მომპარვია და მეფერება...

ცის საუფლოდან არ გაქრება არასდროს მთვარე.





8980 ქვა პრის....

ცხოვრება ასე განაწილდა განგების ნებით,
გოგი ქვა არის სანაყავი,
გოგი – როდინი,
გოგს დაებედა
ფუფუნება, მსუყე ცხოვრება,
გოგს – უიმედო, უსასრულო
ცდა და ლოდინი.

გოგის სანთელი ლიცლიცებს და ნიადაგ ელავს,
გოგისა – იწვის,
ლაპლაპებს და დნება უალოდ,
ვინაც ამქვეყნად,
რაც არს, წმინდა ფეხებით თელავს
ხატება მისი
წარიხოცოს იქნებ უკვალოდ.

* * *

ფიქრით მამლუქთა სამკვიდროში მჩე მწვავს თაკარა,
ცხელ უდაბნოში ათასწლების უკრავს ნაღარა,
ნილოსის პირას ვსეიირნობ და ქვიშით „ვიგსები“,
დამის სიგრილით მასპინძლობენ თაზისები.

ნაღვლიან სფინქსებს არ ეტყობათ სულის მშვიდობა –
ნაპოლეონთან მამლუქების ახსოვთ გმირობა,
პირამიდების სიდიადე ვერვინ ალაგმა,
შემოგვინახა კლეოპატრას წმინდა ალაგმა.



სული ჩემსას

...ლამაზი ფიქრი
ველს გაიჭრა გრიგალის მსგავსად,
იძალა სევდად
და სულს ჩემსას მოედო ხავსად,
რადგანაც რწმენა
არსებაში მეგულვის არსად,
ცხოვრება ესე
მივიჩნიე – ნავსად და ფარსად.

❖ ❖ ❖

ცხოვრება ესე
მე მაგონებს ბერიკაობას,
ნიღბების უკან
მიმალულა ჩვენი თაობა...

❖ ❖ ❖

წარმავალია ყოველი,
ნაფიქრალ-ნასათუთარი,
რაც უნდა ხნული გაავლო
მაინც უანგდება გუთანი.
მიწის კერძ იქცა
ცის ქუდად მიმჩნევი სულთამხუთავიც,
ჩვენი მამულის დაქცევის
ვერამსრულები სულთანი.





❖ ❖ ❖


ურჩობა,
არდაჯერება,
უძღები შვილის წესია,
თუმცა, მოიმკის ბოლოში,
რაც თავში დაუთესია.

მავანს

არასდროს გითქვამს სიმართლე,
ტყუილის თქმაში მარდი ხარ,
ქვეყანას ისე ამძიმებ,
უკვე ზედმეტი ბარგი ხარ,
ხალხს თვალში ეკლად ესობი,
შენ კი გვონია – ვარდი ხარ,
მონანიება გიშველის,
როცა კაცად არ ვარგიხარ?

გინდა, ხელმწიფე-მაესტრო,
გინდ, მოლა, გინდაც – ბერიო,
ავკაცი, ავის ჩამდები
ხალხში არ უნდა ერიოს,
მნელია, კაცი გერქვას და
სხვას ესობოდე ეკლებად,
თორემ სანთელს და საკმეველს
ფასი ყოველთვის ექნება.






❖ ❖ ❖

ღმერთისგან დაწყევლილია,
ვინც ლაპარაკობს ქილიკით,
მას ცხოვრებაში ერევა
გბატკეცილი და ბილიკი.

ვინც ხალხში მიეთ-მოეთობს,
მეზღაპრეობს და არაკობს,
ჯობია სახლში იჯდეს და
თავის თავს ელაპარაკოს.

მთვრალი ვრცელი

მსოფლიო ფერხულს უერთდება ჩვეული როკვით,
ჩვენი ნარნარი „განდაგმანა“
ცეკვა „ხორუმიც“,
თუმც „იავნანა“, „მესტვირული“
წალეკა ჯაბმა,
და ათქვეფილი დაბარბაცებს მთვრალი ფორუმი.
ჩვენი ქართული უცხოურმა თუ გადაწონა,
რაში მჭირდება მერილინი, მუგი, მადონა.



არამპითხე

მოდის უდირსი,
ცბიერებით გონდაბინდული,
თვით განსასჯელი
მოდავეთა საქციელს არჩევს,
სხვის საქმეებში უყვარს მუდამ
ჩაყოფა ცხვირის,
თითქოს წყვეტს რამეს,
ფიცი-მტკიცით იმველებს გამჩენს.

არავინ ჰკითხავს –
თავი მოაქვს მაინც ზეკაცად,
ერევა ხალხში,
თუმცა იცის არ ეძახიან,
წამოაყენებს კორიანტელს დარიგებების
ყურს რომ უგდებენ
გოგიერთზე ესეც ახია.

ასეთ კაცენებს
არც ბუნება სწყალობს არასდროს,
ადრე თუ გვიან დავიწყების
დაფარავს მტვერი,
არც არაფერი ემატება ქვეყანას მისით,
და რომ დააკლდეს –
დააკლდება არც არაფერი.

გვარს აფუჭებს და ამის გამო
დასანანია
თორებ
ყროყინი ვირებისაც ასაფანია.





ქალი

დადის, ამშვენებს უცხო ქუჩებს
ვით ანგელოსი,
ქალი – მემავი,
ქალი – დედა,
ქალი – საფანა,
ეს დაცემაა,
შერცხვენაა საქართველოსი
გადაშენება მოჰყვეს იქნებ
ამის ატანას.

ჩვენ არასოდეს არ გვყოლია
ქალი – ვაჭარი,
გვყავდა: ნესტანი, ქეთევანი,
მეფე – თამარი,
რამდენ დიაცსა
მომხდურთაგან წაბილწვის შიშით
დაუფიქრებლად გაუღია კარი სამარის.

მოდის,
თეძოებს მოაგელვებს ქალი – ფაშატი,
არც ქალობისა,
არც დედობის არღარი სცხია,
უცხოტომელნი, უწმინდურნი
თვალებით ბდლენიან,
იქნებ დაფიქრდნენ,
ჯერაც ვიდრე არ არის გვიან.



მოდის, მოგელავს ქალი კახპა და უნამუსო,
მისი ნამუსი,
სადღაც გდია,
(სადღაც ჰკიდია),
ვინაც ყიდულობს, ვინაც ყიდის –
არც ერცხვინებათ,
მოეკითხებათ უფლის ძალით – ღმერთი დიდია.

ჩვენ არასოდეს არ გვყოლია ქალი – აშარი,
ვინც უსირცხვილოდ
სიგარეტის ურტყამს ნაფაზებს,
ფუ, შევარცხვინე
ქალი – დედა, „დიასახლისი“
ვინც ქართველობას
და ქალობას აღარ აფასებს.



მავანს შესტკივა თითქოს გული
ბედკრულ მამულზე
და სულს გვიწამლავს,
ხალხის სულაც არა აქეს დარდი,
სავარძლის ცქერა არის მისთვის
დანახვა ვარდის,
გინდ ცისქვეშეთი დაიფაროს
სულ ეკალ-ბარდით.





ცხვრის დუმა არის ცხოვრებათ –
დაღადებს სიბრძნე,
მაგრამ
ჩამოთლას უნდა პქონდეს
წონა და სიგრძე.

შავი შამანი

შერყეულ ტახტზე დასკუპულა შავი შამანი,
(იქნებ ჰგონია ვერძლეული სამეფო ტახტი),
შავი სამყაროს შავი თვალი, შავი პრიზმიდან
ხედავს მსოფლიოს წამოჩიქილს და ნამუსახდილს.

მარცვლავს და მარცვლავს კრიალოსანს
უბედურების,
ფიც-ვერცხლნაჭამი –
ავ მედროვის ავი მარჯვენით,
ქართველთ სულს შხამავს, ხორცს დაღავს და
სამსალით კვებავს
შავი მსახური
მოწადინე არგადარჩენის.

ცხოვრების კიბე – აღმავალი ეშვება დაბლაც,
ერთ ფონს გავა – შამანი კი დარჩება გაღმა.





06 ურჩევნიას...

ბავშვის გაჩენას რა უნდა,
მისი აღზრდაა სამნელო,
შვილს გველიც აჩენს, ნიანგიც,
სათნო ქალიც და მეძავიც,
სიკეთით უნდა ბრწყინავდე,
ყრმას რომ მოგვივლენ, ქართველო,
თორემ ქოთნებს და ლარნაკებს
ძერწავს უგვანო მძერწავიც.

შვილი თუ მშობელს ახარებს,
ოჯახსაც მატებს ძალასა,
კაცურად გაზრდა შვილისა,
ნიჭია მარად ხალასი,
ნალი მშობელი
სამშობლოს შვილებს გაუზრდის თამამსა,
„ის ურჩევნია მამულსა“,
შვილმა აჯობოს მამასა.

* * *

ვინც თავის ხალხს
არ უდგება თავდებად,
მისი დღენი
უმოკლესად მთავრდება.



მთების სინდისი

ნოღარ ძირკვაძეს

დააბიჯებდა ნაღდი კაცი ვაჟკაცურ მხრებით,
თავს დაგვცქეროდა სიმაღლიდან, ვითარცა ციდან,
შეყვარებული ბათუმზე და ნაღდ მეგობრებზე,
ჩამოდიოდა მონაფრებით მაღალი მთიდან.

ლაღი არწივი ნაძვებთან რომ კრავდა ირაოს,
როცა რიყეთთან იანვარის სიცივე ცრიდა,
ის უწმინდესად წრფელ ნამუსით, ჯიშით აღზრდილი,
ძმის მონაფრებით ერთადლიან ბეჭებს გაშლიდა.

მთიდან ნაქუხი ბვავი იყო, სიტყვის – ოსტატი,
მთების სინდისი, ნამუსი და თოვლივით წმინდა,
ღმერთო, ერთსა გთხოვ, ერთხელ თვალი შემავლებინე,
ჩემს ნოდარბე და გინდაც მომკალ, სხვა არა მინდა...

❖ ❖ ❖

მამულბე ფიქრი მარტო ლექსით არ იმომება,
ის სხვაგვარადაც საჭიროებს გულახდილ განსჯას,
ვის მიაჩნია ჰაიპარად სამშობლოს ბელი,
ვერ ასცილდება უფლისგან დასჯას.

ბოგის მოქცევა ცხოვრებას არ ესადაგება,
ცრუპატრიოტთა



უსაშველოდ მსურს მე ძაგება,
იგი, ვინც ჩვენს მთებს
სხვის სტეპებზე გულგრილად გაცვლის,
ჰვავს ლოთს სასმისით თავდაკარგულს
ბოლომდე დაცლილს.

◆ ◆ ◆

მე ამა ქვეყნის ძლიერთათვის არ მიმიბაძავს,
ვარ და ვიქწები რაღაც შემქმნა დედაბუნებამ,
ჩემს სიცოცხლეში ნიღაბი არ მიფარებიძ
ვერც ვერასოდეს ჩამითრია ფულის ცდუნებამ.

თუ ვერას არგებ მშობელ მამულს, არც უნდა ავხო,
რომ ვერასოდეს მოგვიხსენოს ვერავინ ძვირად,
სიმდიდრეს და შერს, ცრუპაგრიოტს, ვფიცავ სჯობია
დავრჩე მარადეამს უანგარო მამულიშვილად.

მხატვარი ხატავს...

ყველას რაღაცა ფუნქცია აკისრია და
ასრულებს,
რამდენი ვიღაც იმქვეყნად
გაუგზავნიათ აესულებს,
ოსტატი აგებს, აშენებს;
ვინ ხველავს ქუჩის ნარჩენებს,
ექიმი შველის სნეულებს,
თითქმის ვერგადასარჩენებს.





მხატვარი ხატავს ფილოებს,
მოქანდაკე კი ძეგლს აგებს
მკერავი კერავს ჩასაცმელს,
პალტოს, ქუდსა და ქვეშაგებს,
მზარული და ხაბაზი
ქვეყანას უმასპინძლდება,
ხალხს მღვდელმსახური ნამდვილად
აღსასრულამდე სჭირდება.

ბოლოს სიკვდილი მოგვცელავს
მზერით ცბიერი მელასი,
განცდები არის
იმქვეყნად გამსტუმრებელი ყველასი.

✧ ✦ ✦

გსმენიათ კი ოკეანეს
წყალი ენაფრებოდეს;
ან გინახავთ ხარბის თვალი,
ერთხელაც, რომ ძლებოდეს?!

✧ ✦ ✦

მტრისთვის დავითსაც სჩვეოდათ
წესის აგება,
ბრძნულია ბოგჯერ
ქარქაშშიაც ხმალის ჩაგება.





❖ ❖ ❖

ჯერ არ ქმნილა – დასტაქარის მარჯვენა,
თავის თავს რომ დასტაქობას უწევდეს,
არ მინახავს მე არც კაცი ისეთი,
მომაკვდავ მტერს დამეებს რომ უთევდეს.

რაც განსაზღვრა ქვეყნის არსთა გამრიგემ,
გადახდება ყველას, რაც უწერია,
სიკეთის და ბოროტების სცენაზე
არ დადგება შეუცნობლის ჯერია.

❖ ❖ ❖

ცრუ სიგმარია სიცოცხლე
მწარე დღეების დათვლა,
(ქალის ლაქლაქით დაკოდვა
გაიზიარა დათვმაც),
ხან – ქორწილი და სიძლერა
ხანაც – შავების ჩაცმა,
თითების ხშირად ჩაკვნეტა,
ხან – ზედ ბეჭდების აცმა.

სვლა წვიმაში თუ ქარში,
ფეხის დალბობა ნამში,
ბოგჯერ ფიქრებთან რკენა,
ჩაკეფილობა თავში,
ბოგჯერ ჯდომა და რწევა



ოცნების ოქროს ნავში,
გოგჯერაც ჭირთა თმენა,
გიარი კერძი ჯამში.

ხშირად შვილების თვალთვალი,
ვერჩაღრმავება სულში,
ხშირად უღელთან დგომა,
თესლის ჩაგდება ხნულში,
საკუთარ თავთან დარჩენა,
რწმენის არ გაცვლა ფულში
პაწაწკინტელა იმედი,
ბევრი ტკიფილი გულში.

ერთგულიც არის, ორპირიც,
იცის აღებაც, გაცვლაც,
გვაჯახირებს და გვაწამებს,
ბედნიერების ნაცვლად.

3068 ვაჟაპერად...

ვით ცეცხლის ალი გიზგიზა,
უპირებს ჩანთქმას ყველასა,
ძალუქს მოყვანა წარდგნისა,
ენით წარმოთქმულ ბგერასა.

ბრიყვ თავს სჭირდება მოთოკვა,
გონებას შენარჩუნება,
მოთოკვა უნდა ენასაც





— გძლევს თუკი მოეგუნება,
აცდენილ ბილიკს ადგია,
ვისაც აქვს ქალის ბუნება,
ვინც ვაჟკაცურად იქცევა,
თითიც არ მოეღუნება.

ცე იმპორტი

ნუ იმეორებ იმ ამბავს,
შენგე უკეთ რომ სხვა ჰყვება,
ნუ იტყვი, რაც არ ყოფილა,
არ არის და არც იქნება,
ნუ დაიკვეხნი ბრძენობას,
მნელია დიოგენობა,
სად გაგორილა,
ვინ ნახა
ქვემდრომის ფენომენობა.

მლიქვნელს,
სიბნელის ბინადარს,
ერთი აქვს აზრი, გონება,
ამქვეყნად ფულის შოვნაა,
მსგავსი კაცების „ცხონება“,
გონება მისი ფუჭია
და სიბრძნებს არ ემონება,
(ბოლოებამს თვითონ გახდება,
ნაგავსაყრელის ქონება).





ჩვენს თვალში ბოროტ მღიევნელებს,
ფასი აქვთ კოლო-მწერისა,
მაგყუარა და ცბიერი –
მოსაკვეთია ერისა.

სარეპელა

სად ბუზი ბზუის,
იქ ფუტკარი წყნარად ირჯება,
მოქაქანეს და მოტრაბახეს
ცედი აქვს ბოლო,
თუ გამორჩენის მიზნით ვინმე დაგიახლოვდეს,
ნუ მიენდობი, ცალი ყურით უსმინე მხოლოდ.

ღმერთმა გვაცილოს ნაგიეარი,
სულელი, ცეტი,
ბაქიბუქობით მოვეძალა უკვე თავს რეტი,
უვიც-უგონო, მოსაუბრე სულ თავის თავზე,
სარეკელაა –
ცარიელა წისქვილის ქვაზე.

ხე არ ღაგირგავს

სითბო არა გაქეს, რომ გაათბო ვისიმე გული,
არც ის კაცობა –
განიკითხო ვინმე გლახაკი,
მორწმუნე არ ხარ,



შეავედოთ შემოქმედს სული,
ანდა – გულუხვი,
რომ შესწიოთ უფალს ზვარაკი.
ერთხელ სიმართლე რომ წარმოთქვა,
არ შეგიძლია,
ერთხელ მშიერი დაპურო,
სანაცვლოს ელი,
ხე არ დაგირგავს
და სიკეთე არ გითესია,
იქნებ გგონია
არ მოგწვდება სიკვდილის ცელი.
კაცის ფორმა გაქვს,
ეტოლები გონით გენიოსს,
– გინახავთ გვარი
არაკაცი რომ არ ერიოს?..

◆ ◆ ◆

ხშირად არ წყალობს ბუნება,
კაცი თუ ნიჭიერია,
ღვთით მომადლებულ ჭკვიანსა,
არ მოაკლდება მტერია.

თუ წამხდარია სოფელი
და შერით გიკრეჭს კბილებსა,
ლომს გადაგიქცევს თაგუნად
ხბოს – სპილოს ამობინებსა.





❖ ❖ ❖

რაღაც ხერხებით მწვერვალს აღწევს ზოგი უღირსი,
 არ გაგიკარებს,
 გვიცულობდა თუმც გუშინ ძმობას,
 სიბიფეს ლოდის მსგავსად
 ელის ჩამოგორება
 და შემოდგომის ნეშოსაფით
 ქუჩაში ლპობა.

დასცინის ყველას,
 ქედმაღალი, მართლაც კაცუნა,
 ბემოდან გვიმზერს –
 ვით საცოდავ
 პირისფარეშებს,
 თვით მანდილოსანთ აღარ ინდობს
 გესლავს და გესლავს,
 და აღარ ინდობს არც შინაურს,
 აღარც გარეშეს.

...თუ მაღლა ახველ,
 ნუდა იტყვი – რაც ვარ, მე ვარო,
 როს ჩაფარდები, მოგახლიან –
 ღირსიცა ხარო.



ბეჭედი

❖ ❖ ❖

არად მიგვაჩნდა მისი კაცობა,
დღეს თვითონ აღარ გვთვლის სალამის ღირსს,
ჰოი, ბედისწერავ, ბედის ირონიავ,
გაგვხადე მომსწრე რის.

მისი კრედოა – ჩაცმა, გაძღომა,
ავტომანქანებით გვაწონებს თავს,
არამად ნათქვლეფმა ისე წაახდინა
რომ ვეღარ არჩევს თეთრსა და შავს.

...სიბრძანვე არგუნა ბუნებამ საცოდავს,
(უკვე ვერც ხედავს და უკვე არც სცოდავს).

❖ ❖ ❖

არ აქვს უფლება
მოძღვარის ტონითა,
მაღალი ტრიბუნიდან
სიტყვის თქმის,
მავანსა, მედროვეს,
ჯიბისთვის მზრუნველსა,
ქვეყნისთვის, ერისთვის
ვინც ვერას ქმნის.





❖ ❖ ❖

გლეხურ ულუფით
ისულდებულო ისა სჯობია,
ვიდრე წელს გწყვეტდეს
დიდკაცობის ფილოსოფია.

❖ ❖ ❖

კიდევ კარგი, რომ მთვარეს,
ვერ ფლობს ადამიანი,
თორებ ყომარში წააგებდა
უტიფრად ბრდილი,
და მოხდებოდა სასწაული
დედამიწაზე –
ხვატს, მოძალებულს არ შეცვლიდა
საღამო გრილი.

❖ ❖ ❖

თითქმის ყოველდღე ჩაგვესმის,
ყურში ბრძენკაცთა ხმებია,
შეფონებები,
ასევე, ბრძნული გამონათქმებია.
ვერ ვგუობთ მაინც ერთ მათგანს –
შოთას რომ უბრძანებია:
„რაც მტრობას დაუნგრევია






სიყვარულს უშენებია“.
ხდება ამჟამად პირუკუ —
ღროს ყურით მოუთრევია —
რაც სიყვარულით აშენდა,
სიძულვილს დაუნგრევია.

❖ ❖ ❖

მომხდეურთა ხროვა ისევ აჩენს
სისხლიან სახეს,
გვიკლავენ მოძმეთ,
თხრიან ორმოს, გვიგებენ მახეს,
მიწას გვარომევენ,
თითქოს გვქონდეს მავანის ვალი,
გვინგრევენ ფუძეს
უნდათ ჩვენიც წაშალონ კვალი.
შეურაცხყოფენ მამულს ჩვენსას
სამკვიდროს პაპის,
გვხდიან შალ-ჩოხას,
იქნებ სურდეთ გვაფარონ კაბით.
სიფხიბლისაკენ გვმართებს, ძმანო,
წარმართვა გონის,
ამ დღეში რომ ვართ,
ისევ ჩვენი ბრალია, მგონი.






მეტის მარტიო... .

მეტის მეტიო,
ასე უთქვამს ბრძენკაცს თდესლაც,
მოკვდავს თდესმე
ცხვირიდან მმრად წარმოსდინდება,
დვიწო დალიკ,
მოილხინე, სხვასაც შეარგვ,
მოზომილ ქცევით გაუფრთხილდი
სახელ-დიდებას.

ნუ იტყვი მაინც სხვის დამთრგუნველს,
უხამსს და ურგებს,
მრუდე გზით მავლის
ნურასოდეს ნუ შეგშურდება,
სხვათა მიზნების
არასოდეს არ გახდე მსხვერპლი,
თორემ სავალი ცისქვეშეთში
გაგიმრუდდება.
ბევრი რამეა
ადამიანს, რომ უდებს ბოლოს,
ნუ მიენდობი გულუბრყვილოდ
ულიდსა და ბოროტს.





❖ ❖ ❖

Նարկոմանուս դամდցարուա
յշեցնած Ցյոնի,
աხալցածրութած գայկարցաց
սաեց, Ցյոնի.

Ֆամիլի զօստցուս ՄՔԵՐՈՒԱ դա
զօստցուսաց – Մշեծի,
դա զօնց մոտեմառն
իշենք տշալին լոեցեն.

Մորդու մրացալուս մուսայլացած
ալծատ Մոծուլա,
վյալմի, մուս մեսցըրըլտա մյատյեցուց
առ դաերիմուլա.

❖ ❖ ❖

Մյենտցուս արացուս յուեռցուա
ուս մեսաչյլունի,
Ռուտաց եանցանցան դաալբրցնի
մացանք յուրուցու,
տցուտոն յվիմոնլյուրս
ցայչէս յոյլցենա ևեցա րում ჩափուլու
ցայեցնացու յթյե չուրուցու?





...სადღაც უმიზნოდ შერდელით რომ
ქვას ისვრის ბავშვი,
უმისამართოდ
ისე მოგდის აგრები თავში.



უკან მოხედვით სჯობს განსაჯო
კვალი განვლილი,
ვიდრე შორსჭერეტით
აგერიოს დრო და მანძილი,
არ გირჩევნია
რომ პროგნოზებს აჯობო ძილი,
და აირიდო მოკვეთა კბილის?..



ბოქლომის კლიფის დაკარგვას ჰგავს
ზოგჯერ მიზანი,
მის გატეხვამდე სახლისთვის რომ
ხდები ხიზანი.





❖ ❖ ❖

მომხდური ბევრი გვეხვია
მიწა გვიქციეს ყამირად,
თუმც ვერაფერი დაგვაკლო,
ხალიფატმა და ამირამ.

დღეს კი რა ღმერთი გვიწყრება,
რომ ვეღარ ვაძლევთ ერთურთს ბანს,
მტერს ჰგუობს?
ნუთუ ჩასთვლიმა,
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს?..

❖ ❖ ❖

იოლია გაჩენა და დაბადება,
ადვილია უდარდელი იყო კაცი,
შეგიძლია კაპიტალის დაბანდებაც
მხელია რომ გერქვას კაცურკაცი.

❖ ❖ ❖

ულვაშის ღერით ოდესაც
კაცის ნამუსი ზეობდა,
ქალის ქათქათა მანდილით,
ბრძოლის ქარცეცხლი ქრებოდა.





მამულის ყვლეფა და ძარცვა
კაცობად არ ითვლებოდა,
ჯეელი ღვინოს თუ ლევდა
თან სიყვარულით თვრებოდა.

სად გაქრა ნეტავ ყოველი,
თოვლიერი გაუჩინარდა,
„ისე დავბრმავდით, ვერ ვამჩნევთ
აშრიალებას ჩინართა“...

❖ ❖ ❖

ცხოველთ მეუფეს ამქვეყნად
მჯობი არა ჰყავს, ჰგონია,
თუმც სპილო ზომით აჭარბებს
ფიქრობს, რომ სულ მთლად ქონია.

იქნება კოლომ პაწიამ
სიმწარით ბდლვირი ადინოს
ან ჭიანჭველამ მაღალი
ხეებიც კი წაახდინოს.

კონკურენტობით, ნამდვილად,
მჯობნეს მჯობი არ დაელევა,
ყველაზე ცუდი ისაა
ჭკუა, რომ გამოგელევა.





◆ ◆ ◆

ადათ-წესები
და ცხოვრების ჩვეული რიგმი,
უხსოვარ დროდან
ჭირ-ვარამში გამოწნეხილი,
დღეს სტიქიურად გვეფანტება,
ნიავქარდება,
და ულმობელად ძირს ეცემა
ფრთამოწყვეტილი.

ტრადიციებით ოდითგანვე მოგვქონდა თავი,
ვაი, ჩვენი ბრალი...

ნეი... ...

მგელი მგელის ტყავს არ დახევს,
ბუნების მკაცრი წესია,
ადამიანმა ცყიურთ ბნე
ვერა, ვერ გაითავისა,
ნუთუ ცხოველსაც აჭარბებს
შემოქმედებით ავისა...

◆ ◆ ◆

ვისაც ფეხებზე ჰკიდია,
ჯუნგლებში ერის შეყვანა,
ჩალის ფასადაც არ უდირს –
სამშობლო, ხალხი, ქვეყანა.





ღ, ՑԱԽԱՐԾՈՎԵ

Ախոզրեծ օսյ Շյունարկը, օսյ ագարյ,
Ռոթ արասողը առ ճագարցո Շյին մշտիա,
Դունտան – դունտ ճա Ապարաստան ոյազ Ապարա,
Կոմելյէնցեծունցան ճաալիյ տազո Ծպառետան.

Ճյ, ցիսարողը պազար դունտ գամոներինյինեա,
Ճյ, մյունամ ցիսարողը սադո նոյնուն գամովլոնյինեա,
Ճյենյինամ, ճյերումա սոյյետուն յիմնա Շյենցան ոնյեա,
Ճյ ու սանացալու ցեր մումյու – նյ ցընյոնյինեա.

Կացո, Ռոմելու առ մունց քիկուն սինացլոնյինեա
նյ Շյեւնց նյուրասողը սեցուն ճամդածլոնյինեա.

◆ ◆ ◆

Ախոզրեծ օսլարտենեա,
Ցողչյուր յիսյելադ ռծոնուն,
Ռասյ եցենա մոթյին,
Վյունյունուն ճա լուտոնուն,
Ռածա յոժմուն Վինաձարն,
Շյորու մյունուն գաճամելյուն,
Ճամծած յու սամդարացն?
Ճալյազած յու սեցան սատյմյուն?



◆ ◆ ◆

გინდაც ფალახით მოსვარო
ოქრო ოქროდვე დარჩება
გენი – ქართული,
ნაკურთხი,
არასდროს გადაგვარდება.
ამ მრწამსის დასამკვიდრებლად
მამულმა მსხვერპლი გაიღო,
ეგონოს გადამთიელსა: –
ერთსულოვნებამ ქართველთა,
დღეს თითქოს ჭირი წაიღო.

◆ ◆ ◆

ვინც აფხაზეთს მტრის წინაშე მედგრად იდგა,
ჩვენს გულებში უკვდავება დაიმკვიდრა.
ვინც თავის ხალხს სიცოცხლე არ დაამადლა,
ის მამულმა ერის თვალში აამადლა.
თუმც, კვლავ გველის სამშობლოსთვის მედგრად დგომა,
მახსენდება სევდიანი შემოდგომა.

◆ ◆ ◆

მოგარდს უჩნდება სურვილი,
დიდებთან გაგოლებისა,
ვერ მიპოვია ამოხსნა,
ამგვარი განტოლებისა.





რადგან მე –
ასაკოვანი,
მოზარდობისკენ მივიღტვი,
ეჭ, ჩემი ნება რომ იყოს,
ბოლო წლებს აღარ მივითვლი.

❖ ❖ ❖

გგა სპეტაკი გვექნება,
ფიანდაბად გაშლილი,
გულით თუ გიხარია, სხვისი ბედნიერება,
სხვას ჭირი დაუამო,
თუნდაც შენი გტკიოდეს,
თავს დაგიკრავს
შეგაქებს,
მთელი ქვეყნიერება.

სხვის საწუხარს,
სხვების ტკიფილს,
თუ მალამოდ ედები,
მოიპოვებ დიდებას,
კაცი, მსგავსი ქმედებით.





❖ ❖ ❖

ბრძენთა და
ფილოსოფოსთა,
ნათქვამი
უნდა
გვჯეროდეს;
ვინც არ სცნობს
ქრისტეს
აღდგომას
მწარე
ხვედრს უნდა ელოდეს.

❖ ❖ ❖

ქრისტე
თავისით
ჯვარს
ეცმებოდა,
მარიამს
დღეს
რომ დაპიადებოდა.





◆ ◆ ◆

ავკაცობას სწყალობს ხშირად სიბნელე ღამის,
 მას ხელს ვერ უშლის
 ზოგჯერ ხალხის სიმრავლეც ღამის
 ერთ რამეს ვწუხვარ –
 პირწავარდნილ ქურდსა და ყაჩაღს
 წართმევის გარდა
 ვერ მოხიბლავ კაცი სხვა რამით.

მორალის კითხვა გულბოროტებს
 ვერაფერს არგებთ,
 ვერ გაუქარწყლებ ვერასოდეს
 ძარცვაზე დარდებს.
 ნაცადი ხერხით სულელის წვრთნას,
 ჭკუის სწავლებას
 სჯობს გადარეულ ხარის კუდგე
 ხელის ჩავლება...

◆ ◆ ◆

ქუდი ახურავს მრავალსა
 მანდილიც – არა ცოფას,
 ზოგი ქუდქვეშ თავს აფარებს,
 ზოგიერთი კი – სცოდავს.
 ხდება – თვით ქუდის პატრონსა
 სჯობს მეპატრონე მანდილის,
 თანდათან ასე მცირდება
 კაცს და ქალს შორის მანძილი.



„ასე იყო, ასე არის...“

ბეცაზე მთვარე ივსება,
წყაროს დარბე კი – დოქები,
თუნგი – რძით, ყურძნით – გიღელი,
და ტაროებით – გოდრები.
ბეღლები ჭირნახულითა
დიდი ქვევრები – მაჭარით,
ოჯახი – ხვავი-ბარაქით,
ბუხარი – ცეცხლის ღადარით.
ასე იყო და იქნება –
მოკვდავიც წლებით ივსება,
მეც რა ხანია არ მწყალობს
ახალგაზრდობის კირთება.

◆ ◆ ◆

ბოროტს სიავით ნურასოდეს
ნუ გადაუხდი,
ორგულს ორგულად არ მოექცე,
დაფიქრდი ცოტა,
